ჩეჩეპირინის ოქრო—თბილისელ ეროცურაველს

გზა დაგელოცოს თინა ლეკვეიშვილო!

ნახიჩევანი, 4 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). 100 მეტრზე გულაღმა წინასწარ გაცურვაში თინა ლეკვეიშვილის გამარჯვებას მისი მეტოქენი შემთხვევითობით ხსნიდნენ, სსრ კავშირის ჩემპიონს და რეკორდსმენს ტ. საველიევას კი შეჯიბრების შემდეგი ეტაპების იმედი ჰქონდა. მეგობრებს ისიც კი უთხრა: ენერგია ფინალისთვის შემოვინახეო. მაგრამ ნახევარფინალშივე ცხადი გახდა, რომ თბილისის მე-19 სკოლის მოსწავლეს სახუმროდ არ ეცალა, ამჯერადაც ყველაზე კარგი მაჩვენებელი (1.12,0) მოიპოვა და შინ ისეთი დამშვიდებული წავიდა, ვითომ წინ, ფინალში გადაწყვეტი ბრძოლა კი არა, უბრალო საჩვენებელი შეხვედრა ელოდა.

გუშინ საღამოს სსრ კავშირის ჩემპიონის კიდევ 9 ოქროს მედალი გათამაშდა. გულაღმა ცურვის სასტარტო კოშკურაზე გამწკრივდნენ შეჯიბრების ლიდერი ლეკვეიშვილი, ტ. საველიევა, ლ. ბურბელო (ორივე — ლენინგრადი), ლ. კომაროვა (კიევი) და ვ. ანაშკინა (ცსკა). რა თქმა უნდა, ყველას სურვილი იყო მეხიკოს საგზურის ხელში ჩაგდების ბოლო შანსი მაქსიმალურად გამოეყენებინა.

სპეციალისტების მთელი ყურადღება მიპყრობილი გახლდათ ლეკვეიშვილისკენ, რომელიც მსუბუქად, მაგრამ მძლავრად, ნიჩბებივით უსვამდა მკლავებს და პირველსავე მოსახვევამდე კომაროვასთან ერთად დაწინაურდა. მათ ახლოს მიჰყვებოდა ბურბელო. დისტანციის მეორე ნახევრიდან თბილისელი ერთპიროვნული ლიდერი გახდა. ფინიშამდე მან მხოლოდ ორჯერ გადახედა მეტოქეებს და გვერდით რომ ვეღარავინ დაინახა, თავის გამარჯვებაში დარწმუნებულმა, ტემპს უფრო მოუნატა.

წამომზომებმა აჩვენეს 1.10,7. ეს საჭართველოს ახალი რეკორდია და 0,8 წამით ჩამორჩება ტ. საველიევას საკავშირო რეკორდს, თანაც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა მაღალმთიანი აუზებისთვის.

ლეკვეიშვილი გახდა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლისა და მეხიკოს საგზურის მფლობელი. 14 წლის გოგონას ეს გამარჯვება მისი მწვრთნელის მ. ტატიშვილის გამარჯვებაცაა. მან ხომ ფიზიკურად სუსტ, მაგრამ მონდომებულ გოგონასგან ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი და ამჟამად სსრ კავშირში ყველაზე ნიჭიერი სპორტსმენი აღზარდა.

ჩემპიონს 0,9 წამით ჩამორჩა კომაროვა. III ადგილზე გავიდა ბურბელო — 1.12,4.

სხვა სახეობების ფინალისტების უმეტესობამაც საიმედო შედეგები მოიპოვა. ტურნირის სამმა მონაწილემ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში გამარჯვებულთა მაჩვენებლებს გადააჭარბა.

100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტმა ლ. ილიჩოვმა 58,9 აჩვენა. მისმა მეტოქეებმა ს. გუსევმა (მოსკოვი) და გ. კულიკოვმა (ხაბაროვსკი) დისტანცია ერთად დაამთავრეს (55,1), მაგრამ გუსევი ოდნავ ადრე შეეხო საფინიშო კედელს.

100 მეტრზე ბრასით ქალთა ტურნირში, როგორც მოსალოდნელი იყო, ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონმა გ. პროზუმენშჩიკოვამ (მოსკოვი) გაიმარჯვა — 1.16,1.

საინტერესო გახლდათ ვაჟთა ფინალი. როგორც უკვე ვიტყობინებოდით, ბრასით 100 მეტრზე წინასწარ გაცურვაში ნორმატივის შეუსრულებლობისთვის მედლებისთვის ბრძოლის უფლება დაკარგეს ვ. კოსინსკიმ (ლენინგრადი) და ა. ტუტაკაევმა (თბილისი). ფინალში კოსინსკი უკონკურსოდ ჩაება და... საუკეთესო დროც (1.08,5) აჩვენა, მაგრამ ოქროს მედალი მიიღო პოლტაველმა ე. მიხაილოვმა, რომელმაც კოსინსკისთან 0.4 წამი წააგო. ვერცხლი წილად ხვდა ი. პოდოპრიგოვს (ლვოვი) — 1.09,8, ბრინჯაო — ი. მარჩუკოვს (სმოლენსკი)—1.10,2.

აი, სხვა პრიზიორები:

ქალები: 100 მ თავისუფალი სტილი. ნ. უსტინოვა (ტაშკენტი) — 1.03,0, ლ. გრუბეცი (პოლტავა) — 1.03,4, ზ. დუსი (ლუგანსკი) — 1.03,6; 200 მ კომპლექსური ცურვა: ლ. ზახაროვა (პერმი) — — 2.31,1, ი. პოზდნიაკოვა (მოსკოვი) — 2.37,9, ლ. ხაზიევა (ხარკოვი) — 2.40,1.

ვაჟები. 100 მ გულაღმა: ვ. მაზანოვი — 1.00,9, ვ. ფილიმონოვი (ორივე — მოსკოვი) — 1.02,7, ი. გრომაკი (ლვოვი) — 1.03,0; 200 მ ბატერფლაი: ვ. კუზმინი — 2.11,9, ვ. შარიმკინი (ორივე — მოსკოვი) — 2.12,4, ს. კონოვო (ტაშკენტი) — 2.14,0; 200 მ კომპლექსური ცურვა: ვ. კრავჩენკო (მოსკოვი) — 2.18,0, ვ. პატრიკა (კრამატორსკი) — 2.19,4, ა. დანილოვი (ვოლგოგრადი) — 2.20,1.

• • •

სურათებზე: ზევით — ლეკვეიშვილი თბილისის დახურულ აუზში ვარჯიშისას; ქვევით — ახპარეზობის დროს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 175 (3659)

5 1968 წ. სექტემბერი, ხუთშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.



ასეთი იქნება თბილისის „დინამოს" სტადიონი (წარმოდგენილ ბაკეტში შეტანილია ზოგიერთი ცვლილება, რომელიც ეხება შესახვევს, ხიდებს და სხვ.). (წერილი იხ. მე-2 გვერდზე).

! ს ა ქ ა ო ს !

◆ **კოლომბო**, 4 სექტემბერი. 3 სპორტსმენს გაგზავნის მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში ცეილონი — მოკრივეს, მარათონელსა და იახტსმენს, ესენი არიან: რ. ჯ. კარუნარატნე (მოკრივეთა აზიურ თამაშებში გამარჯვებული), რ. ვ. პერერა, რომელმაც მარათონელთა შესარჩევ ასპარეზობაში აჩვენა 2:22.4 და 44 წლის რ. ვიევარდენი.

◆ **ლონგ-ბიჩი**, 4 სექტემბერი. კალიფორნიის ამ ქალაქში გამართულ აშშ-ს მოცურავეთა შესარჩევ ასპარეზობაში დაემხო 3 მსოფლიო რეკორდი. მ. ბარტონმა 1500 მეტრი თავისუფალი სტილით გაცურა 16.8,5-ში. მან ვე ამ დისტანციაზე გაუმჯობესა 800 მეტრზეც მსოფლიო მიღწევა (8.34,34). ამერიკის გუნდმა (ზორნი, რერიხი, უოლში, შოლანდერი) ესტაფეტაში 4×100 მ თავისუფალი სტილით მანძილი დაფარა 3.32,5-ში.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

გუშინ...

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახ. ცენტრალური სტადიონი.

„სპარტაკი" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი) 1:0 (0:0).

„სპარტაკი": მასლაჩენკო, ლოგოფეტი, გრებნევი, კრუტიკოვი, პაპაევი, როტკოვი, იანკინი (ციხელიოვი), ჰუსაინოვი, ოსიანინი, ამბარცუმიანი (პეტროვი), ევლენტიევი.

„დინამო": ურუშაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ხურცილავა, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, კუტივაძე (ილიადი), ახათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, გავაშელი.

მსაჯი ტ. ბახრამოვი (ბაქო).

ბურთი გაიტანა როტკოვმა.

დუბლიორები — 2:1 მოსკოველთა სასარგებლოდ.

„ჯ" ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი მდგომარეობა 5 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (კიევი)	27	16	9	2	42—17	41
„სპარტაკი" (მოსკოვი)	25	15	5	5	41—26	35
„ტორპედო" (მოსკოვი)	25	11	10	4	38—21	32
ცსკა						
„დინამო" (მინსკი)	25	12	7	6	31—21	31
„ლოკომოტივი" (მოსკოვი)	25	11	8	6	28—21	30
„დინამო" (თბილისი)	25	10	10	5	27—20	30
„დინამო" (მოსკოვი)	25	10	9	6	29—16	29
„ჩერნომორეცი" (ოდესა)	27	11	7	9	35—27	29
„ზენიტი" (ლენინგრადი)	25	10	9	6	35—29	29
„შახტიორი" (დონეცკი)	25	7	11	7	23—31	25
ასკ (როსტოვი)	25	7	10	8	26—25	24
„პრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი)	25	8	7	10	33—34	23
„ნეფტჩი" (ბაქო)	25	7	8	10	16—19	22
„ზარია" (ლუგანსკი)	25	6	8	11	22—33	20
„არარატი" (ერევანი)	26	6	8	12	14—32	20
„პაირატი" (ალმა-ათა)	25	5	7	13	23—34	19
„ტორპედო" (ქუთაისი)	25	5	7	13	17—28	17
„პახტაკორი" (ტაშკენტი)	26	5	7	14	19—31	17
„დინამო" (კიროვაბადი)	25	4	5	13	26—46	17



განსაკუთრებული ქეთევან ლოსაბერიძემ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას წინათ უუგოროდში დამთავრდა სსრ კავშირის V პირველობა მშვილდოსნობაში. ჩვენი რესპუბლიკის გუნდმა (4-4 ქალი და ვაჟი) კვლავ VI ადგილი დაიჭერა. გაიმარჯვეს უკრაინელებმა. მომდევნო ადგილებზე არიან რსფსრ-ს, ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის გუნდები. ჩვენი რესპუბლიკის კოლექტივის მონაპოვარში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქალებმა, განსაკუთრებით, ქ. ლოსაბერიძემ. იგი ქუთაისის პედინსტიტუტის III კურსის ფრიადოსანი სტუდენტია, ამავე დროს რესპუბლიკის 1967-68 წლის აბსოლუტური ჩემპიონი და ყველა (ხუთი) რეკორდის ავტორი. სხვათა შორის, შარშან 50 მეტრზე სროლაში ქეთევანმა 232 ქულა დააგროვა, რაც ვაჟებისთვისაც კი მიუწვდომელია.

სურათზე: ქ. ლოსაბერიძე უუგოროდში ახპარეზობისას.

ფოტო მ. კასიანენკოხი.

„დინამო“ ესტაფეტას გადასცემს „ლოკომოტივს“

... „ლოკომოტივს“

არ გეგონოთ, სათაურში რაიმე შეცდომა, ან და, ვთქვათ, მოხდა წეხების დარღვევა ამანათრბენინას. საქმე ის გახლავთ, რომ „დინამო“ მართლაც ესტაფეტას გადასცემს „ლოკომოტივს“.

დიახ, ლაპარაკია სტადიონებზე — ჩვენი ქალაქის საუკეთესო სპორტულ ბაზებზე.

... ვინც „დინამოს“ სტადიონზე ამ ბოლო დროის მატჩებს დაესწრო, ცხადია, შეამჩნევდა ერთგვარ ცვლილებას მის ტერიტორიაზე: აქა-იქ დალაგებულია უზარმაზარი, ფანჯრების მსგავსი ბოძები — რკინა-ბეტონის ე. წ. ხიმინჯები; ცაში აღმართულია მძლავრი ამწე, ხოლო გოლიათი ანძები, რომლებიც ოთხი მხრივ თავს დაყურებდნენ „დინამოს“ სტადიონს, ახლა მიწაზე გართხმულან.

გუშინ მოხდა უკანასკნელი — ჩრდილო-აღმოსავლეთის ტრიბუნების მხარეს აღმართული ანძის დემონტაჟი. სამუშაოებს აწარმოებდა „იუსტალკონსტრუქციის“ რუსთავის სამმართველოს (მმართველი ი. თოფურია) მემონტაჟეთა ბრიგადა, რომელსაც, სხვათა შორის, დავალებული აქვს ანძების მონტაჟი „ლოკომოტივის“ სტადიონზე გადატანის შემდეგ. როგორც ბრიგადირმა ა. სოკოლოვმა გვითხრა, მემონტაჟეებს განზრახული აქვთ 42-მეტრიანი ოთხივე ანძის აღმართვა. დაამთავრონ ხელტექმბრის შუა რიცხვებისთვის. რაც შეეხება მათ საძირკველს, ის უკვე მზადაა. ასე, რომ, გულშემატკივრებს წელსვე შეუძლიათ იხილონ ვაკის სტადიონზე „დამის ფეხბურთი“, თუმცა დიდი ფეხბურთი „ლოკომოტივის“ სტადიონზე მხოლოდ მომავალ სეზონში გაიმართება.

... ახლა კი კვლავ დავუბრუნდეთ ჩვენს ძველ ნაცნობს — „დინამოს“ სტადიონს, რომელიც წელს თავისი არსებობის 33-ე წლისთავს აღნიშნავს.

თბილისის „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქციისთვის მზადებას ჯერ კიდევ შარშან, აპრილში შეუდგნენ. ცხადია, სამუშაოები ჯერჯერობით ინტენსიურ ხასიათს ვერ აკარებს, რადგან ამას ხელს უშლის სტადიონზე კალენდარული მატჩების გამართვა. მუშაობა სრული ძალით განაღდება წლევანდელი საფეხბურთო სეზონის დახურვის შემდეგ.

— მაინც რა გაკეთდა ამ ხნის მანძილზე? — ვეკითხებით „დინამოს“ სპორტკომბინატის მთავარ ინჟინერს ა. სადომოვს.

— დასასრულს უახლოვდება მიწიხვეშა კომუნიკაციების სამუშაოები. საძირკველი ჩაეყარა მომავალი ტრიბუნების 58-წერტილიან საყრდენებს. ამ ძირითად სამუშაოს ასრულებს ორგანიზაცია „მოსტოპოზდი“ № 454.

... კარგ საჩუქარს მიიღებენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები საბჭოთა საქართველოს 50-ე წლისთავისათვის. „დინამოს“ სტადიონი (ახალი პროექტის ავტორები ა. და გ. ქურდიანები და შ. გაზაშვილი) გაიზრდება ორჯერ — მისი ტრიბუნები 72.000 კაცს დაიტევს. თუ ამას დავუმატებთ შესასვლელ ბილეთების რაოდენობას მაშინ, ჩვენს სტადიონზე გამართულ მატჩებზე ერთდროულად შეიძლება დაესწროს 75.000-ზე მეტი მაყურებელი (ეს ციფრები საბოლოოდ არაა დაზუსტებული).

სპორტის, კერძოდ კი, ფეხბურთის გულშემატკივრებს აინტერესებთ ყოველთვის რაც შეიძლება უფრო მეტი (თუ შესაძლებელია, ყველაფერი) იცოდნენ თავიანთი სტადიონის შესახებ. შევეცდებით ნაწილობრივ დავაკმაყოფილოთ მათი ცნობისმოყვარეობა.

„დინამოს“ მომავალ სტადიონზე განზრახულია მთელი რიგ სიახლეთა შეტანა. ასე მაგალითად, მინდვრის განათება მოხდება არა ანძებიდან, როგორც ეს იყო აქამდე, არამედ ტრიბუნების საფარიდან („ლოზირიოკი“). ცხადია, რომ ამ მიზნით დაიდგმება სინათლის ახალი, უფრო მძლავრი წყაროები. მოეწყობა ტრიბუნებისა და სტადიონის მთელი ტერიტორიის ახალი, გაცილებით უფრო ეფექტური რადიოფიცირება, ტელეფონიზაცია. ბევრად დიდი იქნება ელექტროტაბლოც. ბუნებრივია, რომ შეიცვლება მინდვრის ზედაპირიც. გარდა ამისა, განზრახულია ახალი საერთაშორისო სტანდარტის, ე. წ. ერთცენტრიანი სარბენი ბილიკის მოწყობა.

კმაყოფილნი დარჩებიან ყურნალისტებიც. კორესპონდენტებისთვის გამოიყოფა სპეციალური პრეს-ოთახი შინაგანი, საქალაქო, და საქალაქთაშორისო ტელეფონებით და პრესის ლოჟა. გაუმჯობესდება სამუშაო ადგილები რადიო და ტელეკომენტატორებისათვის.

საინტერესოა, რომ სტადიონის გვერდით, სბაავშვო რკინიგზის ტერიტორიაზე განზრახულია მოეწყოს „დინამოს“ 5000-ადგილიანი საცურაო აუზი.

ალბათ, ბევრმა უკვე შეამჩნია, რომ სტადიონის მახლობლად მტკვარზე შენდება ახალი ხიდი, რაც საშუალებას მისცემს საბურთალოსა და ვაკის რაიონების გულშემატკივრებს ადვილად მოხვდნენ „დინამოს“ სტადიონზე.

დაბოლოს, ფეხბურთის მოყვარულთათვის ერთი სასიხარულო ამბავი — „დინამოს“ სტადიონის სიახლოვეს, მისი ჩრდილოეთ ტრიბუნების მხრიდან მომავალში განზრახულია აიგოს მეტროპოლიტენის ახალი სადგური. აქ, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია!

ო. ნოზაძე.



* * *

სურათზე: უკანასკნელი ანძის დემონტაჟი „დინამოს“ სტადიონზე.

ფოტო თ. გაჩეჩილაძისა.

საიმედო განაცხადი

თბილისში ზამთრის საცურაო აუზში სტარტი აიღო წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის პრეტენდენტთა ტურნირმა.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში შეიკრიბა ექვსი გუნდი. მათ შორის ოთხი გამარჯვებული ნოემბერში „ა“ კლასის მეორე ეშელონის ოთხ აუტსაიდერთან ერთად გაითამაშებენ ტურნირს იმ კვარტეტის გამოსავლინებლად, რომელიც 1969 წლის სეზონში უმაღლეს ლიგაში ითამაშებს.

პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ალმა-ათის „ბურევესტნიკი“ და გომელის „ვოდნიკი“. ალმაათელებმა ყოველ რგოლში დაჯაბნეს მეტოქეები და იოლ გამარჯვებას (8:3) მიაღწიეს. ყაზახეთის წყალბურთელებმა ტაქტიანი, გააზრებული თამაშით კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ისინი ფართო ფრონტით უტევდნენ მოწინააღმდეგეს. გოლის გატანის შემდეგ ზონალურ დაცვას მიმართავდნენ, აქ ურთიერთ დაზღვევის მეთხუბით ადვილად ეუფლებოდნენ ბურთს და სწრაფ კონტრშეტევებს ახორციელებდნენ. ყაზახეთში ბოლო ხანს მრავალი პირველხარისხოვანი აუზი აშენდა და აქაურ მოცურავეთა და წყალბურთელთა პროგრესიც აშკარაა.

თბილისის „ბურევესტნიკის“ ახალგაზრდული კოლექტივი თავის ლენინგრადელ თანაკლუბელებს შეხვდა. ლენინგრადის „ბურევესტნიკი“ დიდი ტრადიციების მქონე გუნდია. ლენინგრადელები წყალბურთის პიონერები არიან ჩვენში. მათი გუნდები ომამდელი და ომისშემდგომი სამამულო წყალბურთის ელიტას მიეკუთვნებიან და ტექნიკური ილეთებისა და ტაქტიკური მონახაზების ფუძემდებლებად ვევლინებიან. აქაურ „ბურევესტნიკს“ ათეული წელია წვრთნის სამამულო წყალბურთის ვეტერანი, წარსულში ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. დულინეცი.

პირველ პერიოდში თბილისელებმა შეუტიეს მეტოქეს, რამდენიმე თავბრუდამხვევი იერიშით ბზარი მონახეს მეტოქე გუნდის დაცვით ხაზში და უშანგიშვილმა ცრუ მანევრით ორჯერ ჩამოიტოვა პირადი მეურვე და ორივეჯერ შეძლო კარის ალება. შემდეგ მეტრეველმა 4-მეტრიანი საჯარიმოდან მესამედ შეარწია ლენინგრადელთა კარის ბადე. პერიოდის დასასრულს ოთხმეტრიანი ტექნიკური საჯარიმოდან ლენინგრადელებმა შესძლეს საპასუხო ბურთის გატანა.

მეორე პერიოდში თბილისელთა მწვრთნელმა ზ. ჩაჩავამ მოედნის 5 მოთამაშე შეცვალა. მასპინძლებმა პოზიციურ თამაშს მიმართეს, მაგრამ ხშირად ვერ უგებდნენ ერთმანეთს, გადაცემებში კარგავდნენ ბურთს, ხოლო მათი მეტოქეები დიდხანს აკონტროლებდნენ ბურთს და ფრთხილად უტევდნენ მეტოქეს. ძდგომარეობის გამოსწორების ცდაში თბილისელები ხშირად არღვევდნენ წესს და საჯარიმო ჭულათა მარაგს ზრდიდნენ. საჯარიმო ტყორცნებს ლენინგრადელთა გუნდში წყალბურთის ვეტერანი, სპორტის ოსტატი ბ. მარქაროვი ასრულებს. იგი ადრე გამთამაშებელ ცენტრალური თავდამსხმელის ადგილზე თამაშობდა, ამჟამად კი უკან დაიხია და დიდი გამოცდილების წყალობით, საიმედოდ კეტავს კარის მისადგომებს. მრისხანე ბომბარდირის ჩვევებს იგი ახლა საჯარიმო ტყორცნებში ავლენს და უნდა ვაღიაროთ, ამ ამპლუაში მას ბადალი არ ჰყავს.

პერიოდი უკვე ლენინგრადელებმა მოიგეს. მესამე პერიოდის დასაწყისში უშანგიშვილმა გარღვევაზე გაიყვანა სპორტის ოსტატი საყვარელიძე, მან მარჯვენა ფლანგზე გადაიხაცელა. უკან ჩამოიტოვა მცველი, დროზე შენიშნა მოპირდაპირე ფრთაზე წამით კარგ პოზიციაში მყოფი როდინი, სწრაფად გადასცა მას ბურთი და ამ უკანასკნელმა უძლიერესი ტყორცნით მეექვსეულ შეარხია ლენინგრადელთა კარის ბადე.

დასკვნით პერიოდში ჯერ თბილისელებმა, ხოლო შემდეგ ლენინგრადელებმა კარგად გამოიყენეს თითო საჯარიმო ტყორცნა. ძატი თბილისელებმა მოიგეს 7:5 და საპრიზო ადგილზე გასვლაზე საიმედო განაცხადი გააკეთეს.

შემდეგ ითამაშეს კიევისა და ტაშკენტის „ბურევესტნიკის“ გუნდებმა. ეს შეხვედრაც მეტად საინტერესოდ წარიმართა. სპეციალისტები ტაშკენტელებს უწინასწარმეტყველებდნენ იოლ გამარჯვებას. თავდაპირველად მართლაც ასე იყო. პირველ პერიოდში ტაშკენტელებმა სამი მშრალი ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში, მაგრამ შემდეგ პერიოდებში კიეველებმა შეძლეს ძალების მობილიზება და თამაშში გარდატეხის შეტანა. ტაშკენტელებს თავს მოახვიეს ტემპიანი თამაში, ზედიზედ აიღეს მეტოქეთა კარი და გამარჯვებაც იზეიმეს — 6:5.

ვ. ბარნაბიშვილი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

უმაღლესი ლიგის საგზურისთვის

სოჭში დამთავრდა „ა“ კლასის II ჯგუფის ვაჟთა 6 გუნდის ფინალური ასპარეზობა ფრენბურთში. შეჯიბრებას უნდა გამოევლინა უმაღლესი ლიგის ახალი წევრები. დამაჯერებლად ჩაატარა შეხვედრები ლუგანსკის „ზარიამ“ და პირველი ადგილი მოიპოვა. გაისად იგი სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებისთვის იბრძოლებს. ამ ექვსეულში II და III ადგილები დაიკავეს ლენინგრადის „სპარტაკმა“ და თბილისის „ბურევესტნიკმა“. ისინი გადასასვლელ მატჩებს ჩაატარებენ მოსკოვის „დინამოსა“ და მინსკის „ბურევესტნიკთან“, რომლებმაც „ა“ კლასის II ჯგუფში XI-XII ადგილები დიდაოვეს და უნდა იბრძოლონ უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის. ამ ტურნირში გამარჯვებული გახდება უმაღლესი ლიგის XII გუნდი.

გამარჯვებით დაიწყო...

გუშინწინ მოსკოვსა და ლენინგრადში სტარტი აიღო რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალმა, რომელშიც გამოდის 8 უძლიერესი კოლექტივი (წინასწარ მატჩებში ითამაშა 60 გუნდმა). ფინალისტები ორ ჯგუფად გაიყვნენ. მოსკოვში თამაშობენ: ადგილობრივი უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების, თბილისის „ლოკომოტივის“, კაუნასის „პოლიტექნიკისა“ და ი. გაგარინის სახელობის აკადემიის სპორტსმენები; ლენინგრადში: მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის „დინამო“, აგრეთვე, ადგილობრივი „ბურევესტნიკი“. ქვეჯგუფებში I-II ადგილებზე გასული გუნდები იბრძოლებენ ჩემპიონის ოქროს მედლებისთვის.

მოსკოვის ტურის მატჩებიდან ცენტრალური იყო ი. გაგარინის სახელობის აკადემიისა და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სპორტსმენთა შეხვედრა. გაიმარჯვეს სტუდენტებმა — 24:9. თბილისის „ლოკომოტივმა“ სძლია კაუნასის „პოლიტექნიკს“ — 11:6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟანტჯეგი, გოლკეგი, ეკტოპაკეგი

ფეხბურთის სტატისტიკოსთა საუფროდ ვიქვეყნებთ იმ მატჩების გოლების ავტორთა ვინაობას, რომლებიც ადრე არ ფიქსირებულა.

როგორც ცნობილია, დონეცკის „შახტიორმა“ ლენინგრადში დაამარცხა ადგილობრივი „ზენიტი“. ორივე ბურთი მასპინძლების კარში დებიუტანტებმა გაიტანეს: იარემჩენკომ 56-ე წუთზე და ოგირჩუკმა — 76-ე წუთზე.

„ლოკომოტივისა“ და ერევნის „არარატის“ შეხვედრაში ბურთები გაიტანეს: 32-ე წუთზე მასალაევმა, 45-ე წუთზე ბოლოვმა და 90-ე წუთზე — მელიქოვმა („არარატი“) 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმიდან.



სსრ კავშირის პირველობა

თითო ქულა

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 3 სექტემბერი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „დინამო“ (მახაჩყალა) 1:1 (0:1).

„ლოკომოტივი“: ბერიძე, მირიანაშვილი, პანოვი, ფრიდმანი, გეგეჭკორი, ძაგანია, ონიანი, შხვაცაბაია, მაზიაშვილი, ხუციშვილი, მელიქიძე.

„დინამო“: ალაბუუევი, კრასიკოვი, კარასიოვი (დუბოვიცკი), შულგინი, ვაშჩენკოვი, იგნატიევი, კოროლენკოვი, სოლოვიოვი, ვალიავსკი, მაიორსკი (ბუკოვი), აკურინი.

მსაჯი ვ. შეხტერი (ოდესა).

დუბლიორები — 2:1 რკინიგზელთა სასარგებლოდ.

„ლოკომოტივის“ ფეხბურთელებმა ბოლო 4 მატჩი მეტოქეთა მინდვრებზე ჩაატარეს და ქულათა

50-პროცენტიანი მარაგით დაბრუნდნენ თბილისში. და აი, პირველსავე მატჩში მოწინააღმდეგედ ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი მახაჩყალის „დინამო“ მოვლინათ.

მასპინძლებმა თავიდანვე მაღალი ტემპი შესთავაზეს სტუმრებს და მინდორზე საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა. დაძაბული მომენტები ორივე გუნდის კართან იქმნებოდა, მაგრამ თავდამსხმელთა უზუსტო დარტყმების გამო, კარი აუღებელი რჩებოდა. მაინც ტერიტორიული უპირატესობა მასპინძელთა მხარეს იყო და როგორც ხშირად ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, ბურთი რკინიგზელთა ბადეში გაეხვია. ეს ასე მოხდა: 25-ე წუთზე სტუმართა თავდამსხმელმა ვალიავსკიმ საჯარიმო მოედნის სიახლოვეს მიიღო ბურთი, სუსტად დაარტყა და წინ გამოსულმა მეკარემ იოლად ასაღები გოლი გაუშვა. ზუსტად ორი წუთის შემდეგ ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა სტუმართა კართან, მაგრამ ალაბუქუევმა ძლივს მოიგერია ბურთი. 1 წუთის შემდეგ მაზიაშვილმა კარის სიახლოვეს დააყოვნა და დაიკარგა გოლის გატანის ნაღდი შესაძლებლობა. შესვენებამდე ანგარიში უცვლელი დარჩა.

მეორე ტაიმში მასპინძლები კვლავ უტევდნენ მახაჩყალელთა კარს, მაგრამ შხვაცაბაიას, ხუციშვილის, მაზიაშვილის დარტყმები უზუსტო იყო. რამდენჯერმე სახიფათოდ გავიდა თავის ფლანგზე ძაგანია, მაგრამ პარტნიორებმა ეს მომენტები ვერ გამოიყენეს. 52-ე წუთზე ძაგანიამ მეკარისგან შორიულ კუთხეში ჩაკიდა ბურთი და მაზიაშვილმა თავით გაიტანა გოლი. ხუთიოდე წუთის შემდეგ მელიქიძის ძლიერად დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. რამდენიმე სახიფათო გარღვევა განახორციელეს სტუმრებმაც. განსაკუთრებით აქტიურობდნენ სოლოვიოვი და ვალიავსკი. 90 წუთი ამოიწურა და გუნდებმა თითო ქულა ჩაიწერეს აქტივში.

ა. ცეხანელი.

გათამაშების ცხრილი
III ჯგუფი
მდგომარეობა 5 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	28	17	8	3	41—14	42
„რუბინი“ (ყაზანი)	27	13	9	5	37—20	35
„დინამო“ (მახაჩყალა)	28	11	13	3	20—10	35
„ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი)	28	10	13	5	29—21	33
„ვოლგა“ (გორკი)	27	12	8	7	40—20	32
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	27	12	7	8	35—24	31
„ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი)	28	11	8	9	27—26	30
„დინამო“ (ბათუმი)	28	10	9	9	31—26	29
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	28	9	9	10	30—27	27
„ზენიტი“ (იჟევსკი)	28	9	9	10	27—30	27
„ვოლგარი“ (ასტრახანი)	27	8	10	9	33—34	26
„ფოლადი“ (სუმგაითი)	27	9	7	11	22—29	25
„ზვეზდა“ (პერმი)	27	7	11	9	20—29	25
„სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა)	27	7	10	10	21—21	24
„ტორპედო“ (ტაგანროგი)	27	8	8	11	21—28	24
„სტროიტელი“ (უფა)	28	7	10	11	29—37	24
„ვოლგა“ (ულიანოვსკი)	28	9	5	14	29—45	23
„მეტალურგი“ (მაგნიტოგორსკი)	28	6	11	11	24—43	23
„მეშახტე“ (ტყიბული)	28	4	14	10	25—35	22
„თერგი“ (გროზნო)	27	6	9	12	30—36	21
„შირაკი“ (ლენინაკანი)	28	6	8	14	22—38	20

სხვა მატჩები

გუშინწინ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა მორიგი ტურის მატჩები:

„ტორპედო“ (ტაგანროგი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:1, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „დინამო“ (ბათუმი) 1:0, „თერგი“ (გროზნო) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 2:0, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა) 1:0, „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) — „ვოლგა“ (გორკი) 0:0, „მეტალურგი“ (მაგნიტოგორსკი) — „რუბინი“ (ყაზანი“) 2:5, „ზენიტი“ (იჟევსკი) — „ვოლგა“ (ულიანოვსკი) 1:1, „სტროიტელი“ (უფა) — „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) 1:0,

მოგვყავს 30 აგვისტოს იმ კალენდარულ შეხვედრათა შედეგები, რომლებიც არ გამოგვიქვეყნებია:

„ვოლგა“ (ულიანოვსკი) — „სტროიტელი“ (უფა) 2:0, „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) — „ზვეზდა“ (პერმი) 1:1, „ვოლგა“ (გორკი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 0:0, „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა) — „მეტალურგი“ (მაგნიტოგორსკი) 4:1, „რუბინი“ (ყაზანი) — „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) 0:0.



საქართველოს ჯიუტველობა

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

● **ასკ (თბილისი) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 2:0. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).**

თამაში ორმხრივი შეტევებით დაიწყო, მაგრამ პირველ ხახევარში ვერცერთმა მხარემ ვერ შეძლო ანგარიშის გახსნა. შესვენების შემდეგ არმიელებმა გულმოდგინე შეტევები წამოიწყეს და უკვე 53-ე წუთზე წარმატებას მიაღწიეს. ბურთი გაიტანა ლობზევმა. მალე, 8 წუთის შემდეგ, ანგარიში ორამდე გაზარდა.

● **„სამცხე“ (აწყური) — „არაგვი“ (მცხეთა) 3:1. მსაჯი ი. კუნჩინი (თბილისი).**

პირველი ტაიმი დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. ანგარიში 25-ე წუთზე გახსნა აწყურელმა ჩუბინიძემ. შესვენების შემდეგ მცხეთელები მცირე ხნით გააქტიურდნენ. 56-ე წუთზე ანგარიში გათანაბრა კობიაშვილმა, მაგრამ დარჩენილ პერიოდში ინიციატივა მთლიანად მასპინძლების მხარეს გადავიდა, რომლებმაც კიდევ ორჯერ აიღეს მეტოქის კარი.

● **„ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 1:2. მსაჯი ვ. ჩიბურდანიძე (ბათუმი).**

● **„გარეჯი“ (სიგნახი)—„ისანი“ (თბილისი) 2:1. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).**

ამ მატჩში წარმატებას პირველად სტუმრებმა მიაღწიეს. ანგარიში მე-9 წუთზე გახსნა იმედაშვილმა. მასპინძლებმა (გოცირიძე) პირველი ტაიმის მიწურულში საპასუხო გოლი გაიტანეს და გუნდებიც „გაშველდნენ“. მეორე ნახევარში ტერიტორიული უპირატესობა საგარეჯოელთა მხარეს იყო, მაგრამ გადამწყვეტი გოლი მათ მხოლოდ შეხვედრის დამთავრებისას გაიტანეს (ფანჯაკიძე).

● **„სპარტაკი“ (ბორჯომი) — „მშენებელი“ (სიღნაღი) 3:1. მსაჯი ი. მჭედლიშვილი (თბილისი).**

მატჩის დასაწყისში სპარტაკელებმა ორჯერ გაუშვეს ხელიდან კარის აღების ნაღდი შესაძლებლობა. პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ — 0:0. შესვენების შემდეგ ბორჯომელები „გამოცოცხლდნენ“ და აი, 52-ე წუთზე მასლოვსკი ხსნის ანგარიშს. ორიოდე წუთის შემდეგ მის თანაგუნდელ აბრამიშვილს მეორე ბურთი გააქვს მეტოქის კარში. მსაჯის საფინალო სასტვენამდე მეტოქეებმა კიდევ თითოჯერ „შეაწუხეს“ ერთმანეთი. ბურთები გაიტანეს: მასპინძლებიდან გოჩიაშვილმა, სტუმრებიდან — ზურაშვილმა.

● **„ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „ლაითური“ (მახარაძის რაიონი) 2:1. მსაჯი მ. ტორონჯაძე (სამტრედია).**

● **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 0:0. მსაჯი ო. თაბაგარი (თბილისი).**

● **„მესხეთი“ (ახალციხე) — „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) 1:1. მსაჯი ნ. კონდახსაზოვი (თბილისი).**

თამაში დაიწყო მასპინძლების შეტევებით, რომლებმაც სულ მალე 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის უფლება მიიღეს, მაგრამ ვერ გამოიყენეს იგი. ამ შეცდომისთვის ახალციხელები დაისაჯნენ: სტუმრების თავდამსხმელმა ბისკაიამ ლამაზი გოლი გაიტანა. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა ყველაფერი იღონეს, რათა გაექვითათ ანგარიში და მე-60 წუთზე საწადელს მიაღწიეს. ვართანიანმა შორი მანძილიდან ძლიერი დარტყმით თავის გუნდს 1 ქულა მოუტანა.

● **„კოლხეთი“ (ცხაკაია) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:0. მსაჯი ი. წირდვავა (ცხაკაია).**



ხურათზე: საქართველოს 1968 წლის თასის მფლობელი თბილისის „სინათლის“ გუნდი.
ფოტო ა. კოტრაშვილისა.

გათამაშების ცხრილი
I ჯგუფის I ქვეჯგუფი
მდგომარეობა 3 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ასკ (თბილისი)	27	17	8	2	54—15	42
„კოლხეთი“ (ცხაკაია)	29	16	9	4	59—27	41
ფიზკულტურის ინსტ. (თბილისი)	29	13	12	4	44—26	38
„მეტალურგი“ (ზესტაფონი)	29	12	13	4	34—19	37
„სინათლე“ (თბილისი)	29	14	7	8	40—24	35
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	29	12	10	7	40—35	34
„სპარტაკი“ (ბორჯომი)	27	10	12	5	36—25	32
„ფეიქარი“ (წულუკიძე)	28	11	10	7	35—32	32
„აერო“ (გალი)	28	11	10	7	31—28	32
„სულორი“ (ვანი)	28	12	6	10	32—25	30
„დურუჯი“ (ყვარელი)	29	9	11	9	39—28	29
„ბახმარო“ (ჩოხატაური)	29	10	6	13	34—47	26
„მშენებელი“ (სიღნაღი)	27	8	9	10	28—37	25
„კოლმეურნე“ (წალენჯიხა)	30	9	7	14	25—45	25
„სამცხე“ (აწყური)	28	6	10	12	30—34	22
„ლაითური“ (მახარაძის რაიონი)	29	7	8	14	24—31	22
„ისანი“ (თბილისი)	29	7	8	14	24—36	22
„ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი)	29	6	10	13	25—39	22
„გარეჯი“ (სიგნახი)	27	7	6	14	26—45	20
„არაგვი“ (მცხეთა)	28	8	3	17	22—39	19
„ქართლი“ (გორის რაიონი)	27	7	5	15	24—43	19
„მესხეთი“ (ახალციხე)	27	5	8	14	17—32	18

I ჯგუფის II ქვეჯგუფი
I ზონა

„აბული“ (ახალქალაქი) — „ელმავალმშენი“ (თბილისი) 3:0, „ზემო ქართლი“ (ხაშური) — „თრიალეთი“ (წალკა) 1:1, „გარისი“ (თეთრი წყარო)—„მეტალურგი“ (რუსთავი) 0:3, „არაგვი“ (დუშეთი)—„ბახტრიონი“ (ახმეტა) 1:0, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „შირაქი“ (წითელწყარო) 7:2, „შრ. რეზერვები“ (გარდაბანი) — „ვარძია“ (ასპინძა) 3:2.

II ზონა

„რიწა“ (გუდაუთა) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 2:4, „საირმე“ (მაიაკოვსკი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 2:2. „ელექტრიკი“ (ქუთაისი) — „ჩიხურა“ (სარხერე) 3:1, „განახლება“ (ადიგენი) — „განთიადი“ (აბაშა) 2:0, „კოლხეთი“ (ხობი) — „იმერეთი“ (თერჯოლა) 1:0.

ზონალური გათამაშება

თეთრიწყარო — ბოლნისი 1:3, ლაგოდეხი — თიანეთი 6:0, ახმეტა — თელავი 3:2, თბილისის „აეროს“ ჩაეთვალა გამარჯვება დმანისთან შეხვედრაში.

ბ. სპასკი.



ვ. კორჩნოი.

ვ. კორჩნოი თუ ბ. სპასკი? ეს კითხვა ამიერიდან სპორტული ხამყაროს ყურადღების ცენტრშია. დღეს კიევში სტარტი მიეცემა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალურ მატჩს. ხვალ კი I პარტია შედგება.

საბჭოთა დიდოსტატები 12 პარტიას ითამაშებენ. გამარჯვებისთვის საკმარისია 6,5 ქულის მოგროვება. თუ მატჩი ყაიმით (6:6) დასრულდა, მეტოქეები ბრძოლას განაგრძობენ დამატებით 8 პარტიაში პირველ მოგებამდე.

გამარჯვებული მომავალი წლის აპრილს მატჩში შეხვდება მსოფლიო ჩემპიონ ტ. პეტროსიანს.

მატჩის პარტიები შედგება — 6, 8, 10, 12, 15, 17, 19, 21, 24, 26, 28, 30 სექტემბერს, გადადებული პარტიები — 7, 9, 11, 13, 16, 18, 20, 22, 25, 27, 29 სექტემბერს და 1 ოქტომბერს, დასვენების დღეებია — 14 და 23 სექტემბერი.

მეტოქეთა მწვრთნელებია: დიდოსტატი ხ. ფურმანი (კორჩნოის) და ა. ბონდარევსკი (სპასკისა).

მატჩის მთავარი არბიტრია საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, დიდოსტატი ხ. ფლორი.

იქ, სადაც შემთხვევა ბატონობს, წინასწარმეტყველება უკან იხევს

ვ. ეიგე.

პრეტენდენტთა შეჯიბრების ახლანდელ ციკლში სპასკიმ მოიგო ორი მატჩი ერთნაირი ანგარიშით 5,5:2,5. მაგრამ შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ კორჩნოისთან შეხვედრაში მსგავსი ანგარიში არ იქნება. ეს იმიტომ, რომ ფინალური მატჩი არა 10, არამედ 12 პარტიისგან შედგება. თუ გავითვალისწინებთ ძალთა თანაფარდობასა და მეტოქეთა მომზადების ამა თუ იმ მხარეს, უპირატესობა ერთი-ორი ქულა უნდა იყოს.

მაინც ვინ იქნება უძლიერესი? ვის გაუღიმებს ბედი? პროგნოზის გაკეთება ძნელი და სარისკო საქმეა. ყოველ პროგნოზს შეუძლია ბრძოლაზე გავლენა იქონიოს. საზოგადოებრიობის შეხედულება ექსპერტების შეფასებაზეა დამოკიდებული. და თუ ეს შეხედულება ერთ-ერთი მეტოქის სასარგებლოდაა, სწორედ ამ უკანასკნელს მოუტანს იგი მეტ ზიანს. თუ ყველა დაიწყებს მტკიცებას, რომ „ა“ მოუგებს „ბ“-ს, მაშინ „ა“-ს გაუჩირდება ძალების მობილიზება. ჭადრაკის ისტორიამ ბევრი შემთხვევა იცის, როცა საზოგადოებრივმა აზრმა ხელი შეუწყო ფავორიტის დამარცხებას.

პროგნოზებისგან თავს კიდევ იმიტომ ვიკავებ, რომ აბსოლუტურად შეუძლებლად მიმაჩნია გამოვიცნო ბრძოლის შედეგი. მართალია, ორივე მოჭადრაკე მკვეთრად განსხვავდება თამაშის სტილით, მაგრამ ერთმანეთის ღირსეული მეტოქენი არიან. ამიტომ მათ ორთაბრძოლაში გადამწყვეტი მეორეხარისხოვანი ფაქტორები იქნება, შემთხვევითობის ელემენტი დიდ როლს ითამაშებს. და იქ, სადაც შემთხვევა ბატონობს, წინასწარმეტყველება უკან იხევს.

მიუხედავად ამისა, შევეცდები შევადარო ერთმანეთს პრეტენდენტები და საწყისი პუნქტიდან — ასაკიდან დავიწყებ.

სპასკი 31 წლისაა, კორჩნოი — 37-ს. მსოფლიო ჩემპიონებად მოჭადრაკეები უფრო ხშირად 35 წლის ასაკში (ამ ერთგვარ „წესიდან“ გამოკაფოფ ლასკერსა და ტალს) ხდებიან. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საჭადრაკო ტახტისთვის სპასკი ჯერ რამდენადმე ახალგაზრდაა, ხოლო კორჩნოი რამდენადმე მოხუცი.

ახლა სპორტული წარმატებები. ორივე დიდოსტატი წარმატებით გამოსულა საერთაშორისო და პრეტენდენტთა წინანდელ ტურნირებშიც.

19 წლის სპასკიმ ამსტერდამის პრეტენდენტთა ტურნირში (1956 წ.) ითამაშა და შთამბეჭდავ შედეგს მიაღწია. მაგრამ შემდგომი მისი წინსვლა დამუხრუჭდა. მსოფლიო პირველობის გათამაშების სისტემა ხელს უშლის სსრ კავშირის ნიჭიერ საჭადრაკო ახალგაზრდობის სწრაფ დაწინაურებას, რადგან თქვენს ქვეყანაში დიდოსტატთა საკმაო ხალხმრავლობაა. სპასკის ახალი აღმავლობა მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ დაიწყო, რამაც იგი 1966 წელს პეტროსიანთან მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლამდე მიიყვანა. დამამარცხებელი იყო სპასკის გამარჯვება პიატიგორსკის ტურნირში (1966 წ. ლოს-ანჟელოსი), სადაც მსოფლიოს ჩემპიონის პეტროსიანისა და გენიალური ფიშერის გარდა, კიდევ ბევრ სხვა გამოჩენილ მოჭადრაკეს გაუსწორო.

არანაკლებია კორჩნოის „საბრძოლო გამარჯვებათა სია“. განსაკუთრებით დამამახსოვრდა მისი გასაოცარი წარმატება ბეგერვეიკის ტურნირში, სადაც პირველი რვა პარტია ზედიზედ მოიგო.

როცა ბეგერვეიკის ტურნირის წინ კორჩნოის ჰკითხეს, როგორ აპირებთ თამაშს, დიდოსტატმა უპასუხა: „სამწუხაროდ, მე უკვე გადავლახე ჩემი უმაღლესი წერტილი, სამი-ოთხი წლის წინათ უკეთესად ვთამაშობდი“. მერე მძლავრი სტარტით თვითონვე უარყო საკუთარი სიტყვები.

ამ წარმატებამ კორჩნოის დიდი პოპულარობა მოუტანა ჰოლანდიაში. ჩვენთან თითქმის არავის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ იგი რეშევსკის დაამარცხებდა. კორჩნოი — ტალის მატჩის დროსაც უმრავლესობა კორჩნოის გულშემატკივრობდა.

სპასკის წინა მატჩები რომ შთაგონებით არ ჩაეტარებინა, მ[illegible] „საზოგადოებრივი აზრი“ კორ[illegible]ნოისთან შეხვედრის შეფასებ[illegible] ლენინგრადელის სასარგებ[illegible] იქნებოდა. ახლა კი აზრი დ[illegible] ლოდინი თანაბრად გაიყო. [illegible] თან, ისიც უნდა გავითვალ[illegible]ნოთ, რომ ტალმა უფრო მძ[illegible] წინააღმდეგობა გაუწია თავის [illegible]ტოქეს, ვიდრე ლარსენმა.

განსხვავდება მეტოქეთა სა[illegible]რაკო სტილი. კორჩნოის თა[illegible] ბრძოლის სიმძიმე დებიუტზეა [illegible] დატანილი. მას დამუშავებ[illegible] აქვს ფართო რეპერტუარი, [illegible] მელშიც წიგნურ თეორიას ძალ[illegible] მოკრძალებული ადგილი უჭირ[illegible] მან ღრმად შეისწავლა ყოვ[illegible] გვარი მდგომარეობა, რომელ[illegible] შეიძლება წარმოიქმნას მე-15 [illegible] მე-20 სვლებს შორის. თამაშ[illegible] დროს იგი ძალზე მობილიზებ[illegible] ლია. კორჩნოი — გატაცებულ[illegible] მკვლევარი და გულმოდგ[illegible] შრომელია.

სპასკი, ალბათ, ნაკლებად [illegible] ჯითია. იგი უფრო ასეთი პრ[illegible] ციპით თამაშობს: „მიეალ—ენ[illegible] მიიმე მდგომარეობაში მას ხშირ[illegible] დიდი ტაქტიკური ნიჭი შეგ[illegible] ან მხრივ იგი ჰგავს ალიოხ[illegible] სპასკი დაკვირვებული ფსიქ[illegible] ლოგია, მას ყოველი მეტოქის [illegible] ნაალმდეგ „პერსონალური ინ[illegible] ღი“ აქვს.

როცა პეტროსიანს ვკითხე, [illegible] ორი მოჭადრაკიდან მეტოქედ რ[illegible] მელი ურჩევნია, მსოფლიო ჩ[illegible] პიონმა მიპასუხა:

— მთავარია, მე თვითონ ვთა[illegible] შობდე კარგად...

ვაქს ეიგე,
მსოფლიოს ექს-ჩემპიონი

ᲥᲔᲚᲚᲘ ᲥᲐᲯᲕᲘᲡᲘ

● **ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ**, 3 სექტემბერი. აქ დამთავრდა ძალოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ ბულგარეთის, გდრ-ის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის, პოლონეთის, უნგრეთისა და სსრ კავშირის ახალგაზრდა ათლეტები. ოქროს 4, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიხვეჭეს საბჭოთა სპორტსმენებმა. იუნიორ ძალოსანთათვის მსოფლიო რეკორდის ავტორი გახდა აკვრაში მძიმეწონისანი ვ. კუზმინი — 193 კგ. სამჭიდის ჯამში კი იგი სსრ კავშირის უმაღლესი მიღწევის ავტორია — 500 კგ (160+147,5+192,5). მჩატე წონაში ვ. კრაშჩიშინმა 322,5 კგ დააგროვა, ქვესაშუალო წონაში ი. კალაშნიკოვმა — 425. ქვემძიმე წონაშიც უძლიერესი იყო საბჭოთა სპორტსმენი ი. კაზოვი — 447,5.

● **ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ**, 3 სექტემბერი. სსრ კავშირის ძალოსნობის ფედერაციამ დაამტკიცა მეხიკოს XIX ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე საბჭოთა ათლეტების სია. მასში შევიდნენ გ. ჩეტინი (მჩატე წონა), ვ. კურენცოვი, ე. სმირნოვი (ორივე—ქვესაშუალო), ვ. ბელიაევი, ბ. ხელიცკი (ორივე — საშუალო), ი. ტალტსი (ქვემძიმე) და ლ. უაბოტინსკი (მძიმე). როგორც ხედავთ, გუნდში არ არიან ქვემსუბუქი და მსუბუქი წონის ათლეტები. სამაგიეროდ, ქვესაშუალო და საშუალო წონაში ორ-ორი ძალოსანია.

● **ᲘᲝᲠᲙᲘ** (პენსილვანიის შტატი), 3 სექტემბერი. აშშ-ს ამ ქალაქში ძალოსანთა შეჯიბრებაში მძიმე წონის ათლეტთა გარდა გამოირკვნენ ოლიმპიური გუნდის სხვა წევრებიც. ესენი არიან ჯ. პულეო (საშუალო წონა), რომელმაც ეროვნული რეკორდები დაამყარა აჭიმვაში 157 კგ და სამჭიდში 473. ორი რეკორდის ავტორი გახდა ფ. გრიპალდიც (ქვემძიმე წონა): აჭიმვა — 169, სამჭიდი — 491,5. მათ გარდა, გუნდში შევიდნენ ბ. ბარტოლომიუ (ქვემძიმე წონა), ფ. ლოუ და რ. ნიპი (ორივე — ქვესაშუალო წონა). ახლა ამერიკელი ძალოსნები კოლორადოს შტატის ქალაქ დენვერში გაემგზავრნენ, სადაც 2 ოქტომბრამდე დაჰყოფენ და გაიელიან მაღალმთიანეთში ასპარეზობისათვის მზადების უკანასკნელ ციკლს.

● **ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ**, 3 სექტემბერი. აშშ-ის მოცურავეთა წინაოლიმპიურ ტურნირზე მსოფლიოს კიდევ ერთი რეკორდი დამყარდა. 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ჩ. ჰიკოკსმა აჩვენა 2.10,6. ეს 0,7 წამით ჯობია ჯ. ბუკინჰემის ძველ მიღწევას. ამჯერად ბუკინჰემის შედეგი იყო 2.12,3. II იყო დ. ფერისუ — 2.11,4. 100 მეტრზე ბრასით ცურვაში დ. მაკენზი ეროვნული რეკორდის (1.07,3) ავტორი გახდა.

● **ᲢᲐᲮᲝ** (აშშ), 3 სექტემბერი. ამერიკის მძლეოსანთა ოლიმპიური გუნდის ბოლო საკონტროლო შეჯიბრებაში 800 მეტრი რ. კუჩინსკიმ მოიგო—1.46,7, 1500 მეტრზე რბენა — ჯ. რაიანმა — 3.43,0; 110 მეტრზე თარჯრბენში საუკეთესო იყო ლ. კოულმენი — 13,4. 400 მეტრზე თარჯრბენი ხეზონში მსოფლიოში საუკეთესო მაჩვენებლით (49,5) გაირბინა რ. უიტნეიმ. სიმაღლეზე ხტომაში პირველობდა ჯ. ჰარტფილდი — 216 სმ, სიგრძეზე ხტომაში — რ. ბოსტონი — 805 სმ, რ. მათსონის ბირთვი 20,31 მეტრზე დაეცა, ჯ. სილვესტრის ბადრომ კი 62,68 მეტრი იფრინა.

● **ᲤᲠᲘᲓᲠᲘᲮᲡᲞᲝᲤᲔᲚᲘ** (გფრ), 3 სექტემბერი. მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში ბაღროს ტყორცნაში აფრიკის ახალი რეკორდი დაამყარა უ. ს. კრაგბემ (სპილოს ძვლის ნაპირი) — 57,65.

● **ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ**, 3 სექტემბერი. „უაიტ სიტის“ სტადიონზე რ. კლარკმა 1500 მეტრზე რბენაში განდიკაპით სცადა ძალა. 22 მონაწილედან ზოგი 80, ზოგი 300 იარდით გაუშვა წინ. ავსტრალიელმა საბოლოოდ მე-12 ადგილი დაიკავა — 3.45,7.

● **ᲑᲚᲣᲨᲢᲐ**, 3 სექტემბერი. დღეს აქ დაიწყო ევროპის II ჩემპიონატი წყალქვეშა სპორტში, რომელშიც მონაწილეობენ ბულგარეთის, გდრ-ის, ესპანეთის, საფრანგეთის, პოლონეთის, უნგრეთისა და სსრ კავშირის სპორტსმენები. გაიმართა შეჯიბრებები ფარფლებით სწრაფცურვაში. ქალთა შორის ჩემპიონი გახდა მოსკოველი ვ. კუზნეცოვა. II ადგილზეც საბჭოთა სპორტსმენი ს. მენშიკოვა გავიდა. ვაუთა შორის კვლავ საბჭოთა სპორტსმენებმა ისახელეს თავი. ჩემპიონი გახდა ტალინელი ბ. პოპოვი. II ადგილზეა ე. კოვალევსკი, III — ს. ტარახოვი (ორივე — სსრ კავშირი).

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲛᲐᲥᲔᲓᲝᲜᲘᲐ, 4 სექტემბერი (დეპეშით). სსრ კავშირის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალგაზრდობის I თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ ხელბურთელთა ტურნირში დაიწყო ფინალური შეხვედრები. I-III ადგილებისთვის ბრძოლაში მოედანზე გამოვიდნენ რსფსრ-სა და საქართველოს გუნდები. სამხრეთელები თავიანთ შესაძლებლობაზე ცუდად, უღიმღამოდ და ურეზერვოდ თამაშობდნენ და პირველი ტაიმი წააგეს — 6:11. შესვენების შემდეგ რსფსრ-ს სპორტსმენთა უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა იყო და გამარჯვებაც მათ დარჩათ — 25:17.

IV-VI ადგილებისთვის ბრძოლაში უკრაინელებმა მოუგეს ბელორუსიელებს — 33:16 (12:6), VII-IX ადგილებისთვის კი ლატვიამ ძნელ ბრძოლაში დაამარცხა ყირგიზეთის გუნდი — 27:25 (11:11). X-XII ადგილებისთვის თამაშობდნენ მოლდავეთისა და აზერბაიჯანის კოლექტივები. შეხვედრის შედეგია 28:16 (9:9) პირველის სასარგებლოდ.

Ჯ. ᲔᲜᲣᲫᲘᲫᲔ.
(ჩვენი სპეც. კორ.).

რედაქტორის მოადგილე ზ. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲖᲔ

ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ. საქართველოს სპორტკავშირის ზამთრის აუზი. 5-9 სექტემბერი. „ბ“ კლასის გუნდების საკავშირო ტურნირი. მონაწილეობენ კიევის, ალმა-ათის, ტაშკენტის, ლენინგრადის, ერევნის, თბილისის (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) სტუდენტთა გუნდები, გომელის „ეიფლიკი“, ხოვსიბირსკის „დინამო“. დასაწყისი 17 ს.